წლიწადი მეცხრე.—№ 412

პარასკევი, 22 თებერვალს 1874.

დროება

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მ ნ., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА"

**ხელის-მოწერა**

ტფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მოედანზე, შამუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: რათ იქნება ჩვენთვის ქართული თეატრი?—წვრილი ამბები—წიგნი რედაქტორთან—„დროების" კორრესპონდენცია: სვანეთიდგან—ზორიდგან—ყვირილიდგა—„დროების" 409 ნომრის ფელტონზე—რ უ ს ე თ ი: საყოველთაო სამხედრო სამსახურის წესდება—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—ამბობენ განცხადება.
ჟულ მიშლეს ნეკროლოგი, სტატია მეველისა.

# საქართველო

## რათ იქნება ჩვენთვის ქართული თეატრი?

ღვინის სმა, ქაღალდის თამაში, საკიცხავი დროს გატარება! აი, ჩვენი ქალაქის თავის შესაქცევი საგნები.

ამ საზარელ მოვლენაზედ დაფიქრება და რაიმე სანუგეშო საშუალების გამოძებნა, ვგონებ, არ გვაწყენდა, და ჩვენ სწორეთ ამ აზრით ვკიდებთ ხელს კალამსა.

არც ერთი ხეირიანად გაწყობილი ხალხი არ ხმარობს ისე უმზგავსოთ თავის დროს, როგორც ჩვენ; არც ერთი საზოგადოება არ არის მოკლებული სასარგებლო სიამოვნებას ჩვენსავით. მთელი დღის შრომის შემდეგ საღამოზედ კაცს ქეიფისა და მხიარულების სურვილი მოსდის—ეს მისი უფლებაა. ტყუილად ეძებს ბედშავი რომელიმე სასიამოვნო და თან ზნეობისა და გონების ამამაღლებელს დროს გასატარებელს ადგილს! ის ვერ პოულობს ვერაფერს ამისთანას, და რჩება ხელახლავ მამა-პაპური: „ისევ და ისევ ღვინითა", საზარახი სათამაშოები და საკიცხავი თავის შექცევა. ესენი ჩვენი ხალხისთვის აუცილებელ სტიქიონათ გადაქცეულან და იმის გამოყვანასაც აქედამ არავინა ფიქრობს. რა გაეწყობა ამ ნაირ შემთხვევაში?

უველგან, სადაც კი ცოტათი უფიქრნიათ საზოგადო ცხოვრებაზედ, ისეთი ადგილებიც არის გამართული, რომელშიაც ხალხი მხიარულათ და თან სასარგებლოთაც გაატარებს დროს. მაგალითებრ: განათლებულ ქვეყნებში აუარებელი თეატრებია, კლუბები, საზოგადო კრებები, უფასური ლექციები, ათას ნაირი ამხანაგობანი და საზოგადოებანი. უველგან, სადაც კი საჭიროა, საზოგადოება დიდ ნივთიერ შეწევნას და დახმარებას აღმოუჩენს ხოლმე ამ გვარ დაწესებულებათა.— და იმისთვის სწევს ხარჯს საზოგადოება, რომ გამოცდილებით იცის, ამისთანა დროს გატარება ხალხის ზნეობას და განათლებას ამაღლებს, სპობს საზოგადოებაში ბინძურ და მავნებელ თვისებებს და ჩვეულებებს. ხალხის ლტოლვილებას, მოძრაობას შეძლევა წესიერი დასაკმაყოფილებელი საშუალება, სრული კალაპოტი, და ის აღარ დგება მშვენიერ ნაყოფიერ მინდვრებზედ დამპალ ტბათ და არ რყვნის ჰაერს. აი, ამასა ჰქვიან ნამდვილი მზრუნველობა ხალხის სარგებლობისათვის!

ეხლა გადმოვიდეთ პრაკტიკულ მსჯელობაზედ, სახელდობრ იმაზედ, თუ როგორ მოვერთოთ ჩვენს ტფილისში ისეთი თეატრი, რომელიც უმთავრესი მცხოვრებლების ზნეობით მოთხოვნილებას შეესაბამებოდეს?

ქალაქში ასიათასი მცხოვრები იქნება. ამათგანი ნახევარზედ მეტი ლაპარაკობენ ქართულად. ამათთვის იროა ერთი ხეირიანი დროს გასატარებელი ადგილი ე. ი. თეატრი. მართალია ერთი რუსული თეატრი ახლაცა გვაქვს, მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებლებს. აი რისთვის: ერთი რომ ამ ხალხის ცხოვრებამდი იქ არაფერი წარმოსდგება ხოლმე, რომ გამოსადეგი, ჭკუის მასწავლებელი იყოს, და მეორედ ენაც არ ესმისთ. „მაია, თეაიას" ცოდნა ხომ არაა საკმაო, რომ პიესას თვალყური ადევნო! და მესამე, მომეტებულ რიცხვს არც ეს „მაია, თეაია" ესმის დარჩება ერთი უგონიერესი და უფრო გამო! სადექი საშუალება ამდენი ხალხის გასართობლათ: დაარსდეს ქართული თეატრი, თანასწორად გასაგები როგორც ქართველისთვის ისე სომხისთვისაც. რუსული სპეკტაკლებიც რომ თავის პუბლიკას იშოვნის ამას რა თქმა უნდა. უველა დაკმაყოფილებული იქნება, და მაშინ სურვილიც კი აღარ ექნებათ, რომ ბოროტად მოიხმარონ თავის თავისუფალი დროება.

ეხლა ჩვენ იმის ცოცხალ მაგალითს მოვიყვანთ, თუ როგორ იჭერს გასაგები თეატრი საზოგადოების ზნეობას. მაგალითებრ, 1852 წ. ფარანცოვის დროს, ხუთასი თუმნით ნაკლები გაიყიდა პრიკაზში სათამაშო ქაღალდი, ვიდრე წინა 1851 წ. ამ წელიწადსვე შემჩნეული იყო, რომ ლოთობამ, სისხლის სამართლის დანაშაულობამ შესამჩნევად იკლო წინა წლებზედა. რისი ბრალი იყო ამისთანა ცვლილება? მოხდა რაიმე განსხვავებული ამ წელიწადში?

ბარდა ქართული თეატრის დაარსებისა და შიგ გასაგებ ენაზედ ტფილისის მცხოვრებლებისათვის წარმოდგენების გამართვისა არაფერი. ეს შემთხვევა დიდი ყურად-

## ჟულ მიშლე

საფრანგეთმა დაჰკარგა ერთი უწარჩინებულესი თავისი შვილი. ეს სიკვდილი დანარჩენი ქვეყნიერობისათვისაც ისე საგრძნობელი და დასაკლისია, როგორც განსვენებულის სამშობლოსათვის.

ჩვენ ვამბობთ დიდს ისტორიკოსზედ, მხურვალე პატრიოტზე, ჩინებულს კაცზედ. ეს გარდაცვალებული არის კაცობრიობის მეცნიერებაში დაუვიწყარი სწავლული ჟულ მიშლე.

განსვენებული გადაიცვალა ღრმა მოხუცებული, მაგრამ მის გულში კიდევ გასაოცარი სიცხოველე, სიყვარული და თავგანწირულობა ღვივოდა თავის სამშობლოსთვის, თითქოს ოც და ხუთი წლის ჭაბუკი ჰყოფილიყოს. სამოცდა ჩვიდმეტს წელიწადს უსამართლობასთან ბრძოლას ვერ მოეტეხა მისი მძლავრი ბუნება. ის დღესაც ისეთი აღმტაცი დამცველი იყო ადამიანის უფლების აღმაღლებისა, ნამდვილის თავისუფლებისა და ჭეშმარიტებისა, როგორც ორმოცი, ორმოცდა ათი წლის წინეთ.

ჟულ მიშლე მოკვდა გულის ავადმყოფობით. იმას აუვარდა გულისტკივილი წარსული ომის დროს, როდესაც საფრანგეთი სასტიკად დაცემული ნახა პრუსიისგან. მაგრამ გათავდა თუ არა ომი, მიშლემ შეატყო, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა წესდებოდა და ხალხი თავისუფლებას ჰპოულობდა, მაშინ ის ისევ უკეთ შეიქნა. დაიმედებული იმან მიჰყო ხელი მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის წერას. ამ დროს წამოატყდა 24 მაისი. ე. ი. ტიერის მართებლობის ჩამოგდება და მონარხიელი შემთქმელების გამარჯვება. საშინელი გავლენა იქონია ამ შემთხვევამ საბრალო მგრძნობარე მოხუცზე, რომელსაც თავისი საფრანგეთი გულ-მხურვალედ უყვარდა. მიშლე ერთბაშად დაეცა და მერმე აღარც მობრუნებულა.

მიშლე ღარიბი ოჯახიდამ იყო და ამიტომ ის ყმაწვილობიდამვე ეწეოდა შრომაში თავის მამას. გონიერმა მშობელმა შეატყო, რომ ყმაწვილი ნიჭიერია და აღარ დაიშურა არავითარი მსხვერპლი, ოღონდ კი მის საიმედო შვილს განათლება მიეღო და მართლაც პატარა მიშლემ სრულიად გაამართლა თავის მშობლის სასოება მასზედ. იმან მშვენიერად დაასრულა ლიცეია და 1830-მდი მიშლე პროფესსორად იყო სხვა და სხვა პარიჟის უმაღლესს სასწავლებლებში.

ამ დროს იულისის რევოლიუციამ იგრიალა ზაფხულის ქუხილსავით და შარლე მეათეს მონარხია შავსავით ჩაიტანა გაბრაზებულმა პარიჟის ხალხმა.

ხელმწიფეს, მართალია, გადაუძახეს საფრანგეთის საზღვრიდამ, მაგრამ იმის მაგიერად ეხლანდელი მარცხენა ცენტრის რესპუბლიკელებმა მოიხმეს საფრანგეთის ხალხის მინდობილობით—და ვინ მიანიჭა ტიერს, გიზოს, ოდილონ-ბაროს, დიუფორს და სხვას ეს უფლება, დღესაც არავინ იცის—ლუი ფილიპე. აქ გიზო, სორბონნის პროფესსორი, მინისტრად შეიქნა და თავისი ადგილი გარდასცა მაშინაც საკმაოდ სახელოვანს მიშლეს.

რვა წლის შემდეგ ახალგაზდა ისტორიკოსს ჩააბარეს კოლლეჟ დე ფრანსის (College de France) კათედრა, საიდამაც ის ჰკითხულობდა ისტორიას და ზნეობით საგნებსა. ამ დროსვე ორი შესანიშნავი მიშლეს მეგობრებიც მოიწოდეს კოლლეჟ დე ფრანსში. ესენი იყვნენ: ადამ მიცკევიჩი, პოლშელი პოეტი, და ედგარ კინე.

აქ ამ სამმა ჩინებულმა სწავლულმა თამამად დაიწყეს ქადაგება კაცობრიობის განმაახლებელი აზრებისა. ამ შკოლამ საშუდამოთ მოჰკვეთა ავტორიტეტი და ძალა ბევრს ძველს კანონებსა და წესებს. აქ მოდიოდა მთელი ევროპის ახალგაზდობა, როგორც ერთ დროს ათინას, რომ გაეგონა განმაცხოველებელი სიტყვა, ნათელი ჭეშმარიტება და შეუპოვარი პრინციპები.

კინე, მიცკევიჩი, მიშლე... დღეს დაუვიწყარ სახელებად გადაქცეულან შთამომავლობისთვის და ისინი სრული ღირსნიც არიან ამ პატივისა.

განმხნევებულიდა გონება გახსნილი ახალგაზდობა ამ პროფესსორების ლექციებითა დაიმედებული შედიოდა ცხოვრების ბრძოლაში და პატიოსნად უდგებოდა ქვეყნისთვის ნაყოფიერ შრომას.

ბევრს ახსოვს როგორის მოელვარე მჭევრმეტყველებით იცავდა მიშლე და კინე კოლლეჟ დე ფრანსის კათედრიდამ სინიდისისა და გონების თავისუფლებას. აღტაცებული ახალგაზდობა ტაშის ცემითა და ბარაქალათი იღებდა მათ სიტყვებს, მაგრამ მმართებლობა კი სულ უფრო ებღურებოდა წარჩინებულთ მოქადაგეთა.

უკანასკნელად ლუი ფილიპეს მართებლობამ დაითხოვა მიშლე და კინე თანამდებობიდამ. მაგრამ თებერვლის რევოლიუციის მეორე დღეს დევნილ პროფესსორებს ხელახლავ ჩააბარეს წართმეული ადგილები.

ლუი ფილიპეც ისევგაისტუმრეს პარიჟიდგან როგორც მისი წინა მოადგილე ხელმწიფე, დაწესდა საფრანგეთში რესპუბლიკა.

მაგრამ რესპუბლიკას არ უცოცხლია დიდ ხანს. ოთხი წლის შემდეგ 1851 წ. ნაპოლეონმა მოახდინა სახელმწიფო ცვლილება. ის ერთ ღამეს, როდესაც პარიჟის ხალხს ეძინა, ავაზაკურად დაესხა თავს მოსყიდული სალდათების შეწევნით და გამოახრჩო საფრანგეთისგან მიპარებული თავისუფლება. თუმცა ნაპოლეონმა შეჰფიცა ხალხს, რომ ის ისევ ჩააბარებს ხალხს რესპუბლიკას, როგორც მიიღო, მაგრამ ამას არ დაუბრკოლებია იმისი ტახტზედ აფორთხება. რამდენი ათასი მსხვერპლი გაიგო ამ კაცმა კიბედ, რამდენი სისხლი და ცრემლი აღვრევინა ხალხს—ამას ვინ მოსთვლის!

აი ამ დროს მიშლეს უთხრეს, რო ნაპოლეონის საერთგულოთ უნდა დაიფიცოვო. მიშლემ უარი სთქვა იმპერატორის საერთგულოთ შეფიცვაზედ. მაშინ ის იძულებული იყო დაეტოვებინა პროფესსორობა კოლლეჟისა.

განდევნული თავის საყვარელი სასწავლებელიდამ, მიშლე ხელახლავ მიეცა ისტორიულ შრომას. იმან დაიწყო საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის წერა. ეს თხზულება ფრიად შესანიშნავი და ჩინებული იქნება ყოველ საუკუნოებში, და შთამომავლობა კიდევ მომეტებულად დააფასებს მიშლეს გამჭრიახ გონებას, საგნის პოეტურ გამოხატულებას და უსაზღვრო სიყვარულს სამართლიანობისადმი.

მიშლე დარწმუნებული იყო, რომ ოდესმე იდეალური საზოგადოება იქნება, რომ პროგრესსი მიაღწევს უმაღლესს ხარისხამდე. მაგრამ იმას არ სჯეროდა, რომ განათლება წინ მსვლელობა ხალხისა თითონ თავისთავად მოხდეს. ის ყოველთვის ნათლად აჩვენებს მკითხველს, თუ როგორი განუზომელი მონაწილეობა აქვს კაცის მეცადინეობას თითოეული პროგრესსის ნაბიჯში.

მიშლემ გასაოცარად იშრომა, მოუტანა დიდი სარგებლობა თავის ქვეყანას და აგრეთვე სწავლასაც. თუ კი ვისმეს აქვს ნება გულ-დამშვიდებული სიკვდილისა; თუ კი ვინმე იტყვის: უნაყოფოთ არ განვლო ჩემმა სიცოცხლემ, მაშინ, რასაკვირველია, მიშლესაც შეეძლება ამ ნაირი იმედის ჰქონა. მაგრამ ის სასტიკად იტანჯოდა; მისი სამშობლოსათვის ნიადაგ მღელვარე გული ათანაირად ტრიალობდა და აღშფოთებით სცემ და როდესაც უმზერდა რომ საფრანგეთის მართვა მონარხიელების ხელშია.

მიშლემ ბევრი ისრები დაამტვრია, რომ თავის ქვეყნისათვის მოეპოვა სრული თავისუფლება და თანასწორობა. ის ელოდა რესპუბლიკობის მტკიცედ დამყარებას, ხალხის ბედნიერებას და აღყვავებას, როგორც მოსე წინასწარმეტყველი აღთქმით ქვეყანას. მაგრამ გენიალური მოხუცი ვერ მოესწრო ამ სანატრელს დროს, და სავსე მწუხარებითა, სავსე სამშობლოს მომავალზედ ათასნაირ ეჭვით, მიშლე თავ განწირულად ჩადის სამარეში.

მეველი.

ღების ღირსია ჩვენის აზრით. ვისაც ქალაქის ცხოვრების მართვა და მზრუნველობა აქვს მინდობილი, ამ საგანზედ მოლაპარაკება და ერთი მტკიცე აზრზედ დადგომა ვითომ არ ჰფერობთ? მაგრამ ეს მათი საქმეა. დავანებოთ თავი ამას.

ერთი საშუალებით იქნება თუ მეორეთი — თეატრი უნდა დაარსდეს მაინცა და მაინც. მისი საჭიროება უკანასკნელმა სამა წარმოდგინებამ გამოაჩინეს ნათლად. საქმე მხოლოდ პირველ ნაბიჯზეა დამოკიდებული, ე. ი. თეატრის დაარსებაზედ, თორემ მერმე რომ იმას შეუწყვენელადაც შეუძლია სიცოცხლე, ეს საეჭვო როდიღაა.

თუ კი ერისთვის დროს თითო აქტიორს ას-ასი და მეტი თუმანიც ერგებოდა, ეხლა რაღა ღმერთი გაწყრება, რომ იმოდენიც აღარ შემოვიდეს?

ჩვენ ვიანგარიშეთ და ძალიან დამცირებული შემოსავალი, რომელიც შეუძლია ქართულმა თეატრმა შემოიტანოს, როდესაც თეატრის სახლი გვექნება, შესდგება ათას ოთხასი თუმანი (14000) და გასავალიც თითქმის ამ რიცხვამდის ადის.

თუ საჭირო იქნება, ჩვენ დაწვრილებით ცნობები შეგვიძლია მივსცეთ იმ საგანზედ იმათ, ვინც თეატრის შენობის აგებას იკისრებენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ყოველი მხრიდამ, სადაც კია ხალხის ზნეობის ამაღლებაზედ ფიქრი და ჭეშმარიტი მზრუნველობა, ყურადღება იქნება მიქცეული ამ განცხადებაზე. ნამეტურ იმისთვის ვაძლევთ ფასს დღევანდელ ლაპარაკს, რომ საზოგადოებაში ქართული თეატრის დაარსების მოთხოვნილება ერთობ ძლიერია.

მეველე.

---


# „დროება“

1874-ში გამოვა იმავე პროგრამმით და იმავე პირების თანამშრომლობით, როგორც წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: ტ ფ ი ლ ი ს ს — „დროების“ კანტორაში, ივანოვის ბიბლიოტეკაში. ქ უ თ ა ი ს ს — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

„დროება“ ეღირება გაგზავნით: ერთი წლით — ე ქ ვ ს მანეთად, ნახევარი წლით — სამ მანეთად.

„კრებული“ და „დროება“ ერთად ეღირება გაგზავნით: ერთის წლით — ცხრა მანეთად და ნახევარი წლით — ხუთ მანეთად.

ვისაც შარშანდელი „დროების“ ფასი არ შემოუტანია, ვთხოვთ, მალე გამოგზავნონ რედაქციაში.


---

## წვრილი ამბები.

— „თფილისის მოამბეში (№ 17) დაბეჭდილი იყო უფ. ნ. ნიკოლაძის წიგნი კავკასიის იურიდიკული საზოგადოების პრეზიდენტისადმი, რომლითაც სთხოვდა, რომ იურიდიკული საზოგადოებისათვის წინადაედვა ტყიბულის საქმეზედ ქუთაისის მაზრის სამსაჯულოსაგან შედგენილი განჩინებების განხილვა და იმ კითხვის გარჩევა, თუ ვინ უნდა უზღოს ნ. ნიკოლაძეს, თუ, ვინიცობაა, ტყიბულის საქმეზედ შეცთომით შედგენილმა განჩინებებმა რამე წააგებინა. იურიდიკულმა საზოგადოებამ ამ ორშაბათს ეს ნიკოლაძის თხოვნა კამიტეტს გადასცა, რომელმანაც უნდა გადაწყვიტოს, ექვემდებარება ეს თხოვნა იურიდიკული საზოგადოების განხილვას, თუ არა. თუ კამიტეტმა იურიდიკული საზოგადოების წესდების თანახმად იცნო ნ. ნიკოლაძის თხოვნა, საზოგადოება შეუდგება იმის განხილვას.

— ქართული სცენის მოყვარენი, რომელთაც წარსულს ხნილში და ყველიერში სამი ქართული წარმოდგენა გამართეს, გვთხოვენ გამოვაცხადოთ საზოგადო საცნობად დაწვრილებითი ანგარიში ამ სამი წარმოდგენის შემოსავალ-გასავლისა. მაგრამ რადგანაც გაზეთი მზათ არის, ჩვენ არ შეგვიძლიან შემდეგ ნომრამდის დავბეჭდოთ ეს ანგარიში. ვიტყვით მხოლოდ, რომ შემოსავალი ყოფილა 1500 მანეთზედ მეტი, გასავალი: თეატრის ქირა — 600 მანეთზედ მეტი, ტანისამოსისა და სხვა წვრილმანი ხარჯი — 300 მანეთამდის. ნაღდი შემოსავალი დარჩენილა 600 მანეთზედ ცოტა მეტი.

— შუა ფებერვალი თფილისისათვის სწორედ ნამდვილ ზამთრათ გარდაიქცა. მთელი კვირა ითოვა, ეხლა დიდი ყინვებია, 10° მეტი. ამბობენ, რომ ამისთანა ზამთარი ათი წლის განმავალობაში არ ყოფილა.

---

## წიგნი რედაქტორთან

ქუნევა 25 იანვარს (6 თებერ.)

„უფალო რედაქტორო. „დროების“ № 405-ში ამ წლისა მე წავიკითხე შარაბიძის კორრესპონდენცია, სადაც ეს პატივცემული კორრესპონდენტი უჩივის საზოგადოთ რედაქციების უყურადღებობას მკითხველებზე და იმათ მოთხოვნაზე და მაგალითად მოჰყავს „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორი, რომელსაც იმან გაუგზავნა ოთხი მანეთი წიგნების საყიდლათ და გასაგზავნათ, მაგრამ ეს მესამე წელიწადი გადის პასუხი არ მიუღია. ყოველივე, რასაც პატივცემული შარაბიძე ამბობს თავის კორრესპონდენციაში, სრულებით მართალია; მაგრამ რომ იმისმა კორრესპონდენციამ საეჭვო და შეუფერებელი ფიქრები არ აღძრას მკითხველებში, მაგალითად ჩემზე, უნდა ავხსნა ამისთანა უთავბოლოების მიზეზი. უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი ქართული სამი გამოცემაების საქმეები, განსაკუთრებით „კრებულისა“ და „სასოფლო გაზეთისა“ ძალიან დახლართული იყო. ამ ორი გამოცემის საქმეები, როგორც იმათი შედგენა, აგრეთვე იმათი გაგზავნა და დარიგება მკითხველებში; ყოველნაირი სარედაქციო საქმეები, ასე გაშინჯეთ კორრექტურაც, მარტო ერთ პირზე იყო მიგდებული თითქმის მთელი ორი წელიწადი; ამას გარდა საშუალების სიმცირის გამო რედაქტორს კერძო საქმეებიც უნდა ეკისრნა, რომ თავისი თავი და ეს გამოცემაები გაეტანა. ამას დაემატებოდა ყოველნაირი გარეშე მონდობილობაები მკითხველებისაგან რედაქციაზე ამ გარემოებების ძალით რედაქტორს ძალიან გაჭირებული ჰქონდა საქმე და მართლაც ზოგიერთი გარეშე მონდობილობა, როგორც მაგალითად შარაბიძის მოთხოვნა, რჩებოდა აუსრულებელი და კიდეც მავიწყდებოდა; რომ უფ. შარაბიძეს არა მე დარწმუნებული ვარ ეს საქმე სულ მიმავიწყდებოდა და მე ჩირქათ დამაწვებოდა კისერზე. ამისთვის დიდს გულითადს მადლობას ვუძღვნი უფ. შარაბიძეს ამ გახსენებისთვის და ვსთხოვ სხვათაც, რომელნიც იქნება საქმის აუსრულებლობისთვის უკმაყოფილოთ იყვნენ, მოაგონონ რედაქციას და აასრულებინონ. რაიცა შეეხება იმ ოთხს მანეთს, გადავსცემ დროების რედაქციაში, რომ იმითი ახალი დაბეჭდილი ქართული წიგნები გაუგზავნოს უფ. შარაბიძეს ან არა და ეს ოთხი მანეთი ისევ უკან დაუბრუნოს.

დავრჩები და სხვ. „სასოფლო გაზეთის“ უწინდელი რედაქტორი გ. წერეთელი.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

სვანეთი, 15 ფებრ. 1874 წ.

მისის ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ამ წელს მოგზაურობამ ბევრი სასარგებლო ცვლილება მოახდინა სვანეთში. კარგი იქნებოდა, რომ ყოვლად უსამღვდელოესი ხშირათ ნახულობდეს სვანეთს; მაგრამ საუბედუროთ თვითონ ბუნება თითქო ეწინააღმდეგება ამ ჩვენს სურვილს. იმ დიდი მთების ცხენით გადავლა, რომლებიც ცნობის-მოყვარე მგზავრს შეხვდება სვანეთში, შესაძლებელია მხოლოდ ივნისიდგან სეკტემბრის ნახევრამდი; სხვა დროს კი გადასვლა ძრიელ ძნელია და ამიტომაც მოკლებული ვართ ეპისკოპოსის ხშირათ ნახვას. ბოლოს როკი ღირსი გახდა სვანეთი მისი მიბრძანებისა, დიდ სიხარულში იყო ხალხი და ემზადებოდა უარის უთქმელათ, მტკიცეთ აღესრულებინა ყოველივე მისი ბრძანება. სვანები სიჩქაროთ თავს იყრიდენ იმ ალაგს, სადაც მათი უსამღვდელოესობა ისურვებდა. ყოვლად უსამღვდელოესობის ყურადღება მიქცეული იყო იმ პირებზე, რომლებთაც თითოს ორ-ორი ცოლი ჰყვანდათ და ურჩევდა მათ, რომ ეს საზიზღრო ჩვეულება მოეშალათ და დასჯერებოდნენ თითო თანა-მემცხედრეს, როგორც შეეფერის ქრისტიანობრივს დებულებას. ბრძანება ყოვლად უსამღვდელოესობის მის იქვე ყოფაში იყო ასრულებული პრისტავის საშუალობით, მაგრამ ამ ბრძანების ასრულებას მოჰყვა დიდი ვაი-უბედურობა და ტირილი: ქალი, შემკრთალი და გაკვირვებული ამ ანბით, ამბობდა: სად უნდა წავიდე და ვის უნდა დავუტოვო ჩემი ოჯახი და შვილებიო. აგრეთვე კაცსაც ეძნელებოდა, როგორ გაუშვა ამდენ ხანს ჩემთან მყოფი, ჩემი ავისა და კარგის მცოდნე და ხასიათით ჩემთან შეზდილი ქალიო. აი მაგალითებრ როგორი გულ შემარყეველი სცენები ხდებოდენ ხოლმე: ერთმა სვანმა მისის უსამღვდელოესობის ბრძანებით მოიყვანა თავისი ორი ცოლი. ერთი მათგანი იყო ახალ-გაზდა და მეორე კი უფრო მოხუცი. პრისტავმა, მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ბრძანების აღმასრულებელმა, ჰკითხა: რომელი უფრო გიყვარსო? სვანმა უთხრა, რომ ორივენი ძალიან მიყვარანო. მაინც რომელიო? ეს უმცროსიო, მიუგო სვანმა, რადგანაც უფრო ახალგაზდა არისო. მაშ ეს უფროსი უნდა მოიშოროვო. არა ბატონო, სად უნდა გაუშვა ეგაო? თავის მშობლებთან მივიდესო, უბრძანა პრისტავმა. მაშ რადგან მე ეს უნდა მომაშოროთ, მე ცოცხალი აღარ უნდა დავერჩეო, დედ-მამა მაგას სახლში არ შეუშვებენ და ამიტომ ისევ გთხოვ, რომ მომცეთ ნება გარეშე ვარჩინოვო. ესე იგი, როგორ გარეშე, ჰკითხა პრისტავმა? ჩემს ეზოში მაგისთვის ცალკე სახლს დავდგამ, უთხრა სვანმა, სასმელ-საჭმელს მივცემ და იყოსო. ეს იმასა ჰგავს, რომ ორი პური სუფრაზე წინ გედვას და რომელიც გსურდეს მოსტეხო და სჭამოო და ამიტომ არ მისცეს ნება. ერთს მოხალეს ჰყვანდა სამი უკანონოთ მოტაცებული ქალი. ეს მოხალე პირველათ ძრიელ უარზე გადგა, მაგრამ მისმა მეუფებამ უბრძანა სვანებს ძალის დატანებით წაერთმიათ ეს ქალები, რაიცა აასრულეს ძრიელ ხალისით.

ხალხი აქ ჯერ ბრიყვია და ვერას გებულობს და ამ გვარი მათი მდგომარეობით მღვდლები ხერხიანათ სარგებლობენ, რადგანაც იმედი აქვთ, რომ მთავრობას მათზედ ვერავინ ვერას აცნობებს. მათი ზრუნვა, შფოთვა მარტო იმაზედ არის მიქცეული, თუ როგორ ჯამაგირი მივიღოთ და [illegible]მოთ, ხალხმა გინდ კისერი იტეხოს და გინდ წყალში გადავარდეს, რას დავეძებთო. აი ამგვარი კეთილი აზრებით და მიმართულებით არიან სავსენი სვანეთის საზოგადოების მწყემსები, ზოგიერთს გარდა. ისინი მარტო იმას ფიქრობენ, თუ როგორ მუცლები გაიტენონ და არა იმას, რომ დასტოვონ რაიმე სახსოვრათ შემდეგისათვის, რომ მომავალს შეეძლოს სთქვას, რომ ეს კაცი როდისმე ყოფილა დედა-მიწაზე და თავისი სიცოცხლე ხალხზე მზრუნველობით დაულევია. ამ ნაირი რეპუტაციის თავის თავზე გაკეთება სვანეთში ბევრს ღვაწლს არ თხოულობს. აი, მაგალითებრ ავილოთ თავისუფალი დრო, როდესაც შეუძლიანთ მმ. მღვდლებს ბევრს კარგს აზრებთან გააცნონ ისინი. აქ ხალხი უმეტეს ნაწილათ უქმათ არის; ყოველ თავისუფალ დღეს ჩვეულებრივ თავს იყრის მაიდანზე; რასაკვირველია, განათლებულ ხალხებსავით იმათ სხვა ინტერესები არა აწუხებსთ, მხოლოდ როგორმე დრო გაატარონ თუ სიმღერით, ორფეხულით, ცეკვით, თოფის ნიშანზე სროლით და სხვით. ამაზედ უკეთეს დროს როგორ იპოვნის კაცი იმათ ქადაგებისათვის. რა ბედნიერება იქნება ჩვენთვის, რომ ამ უქმ დღეებს თავისთვისაც უქმათ არ იხდიდნენ და იზამდენ იმდენს სიკეთეს, რომ ხანდისხან ამ მაიდანზე მობრძანდენ და ხალხს უქადაგონ. უეჭველია, ხალხი მათის სიტყვის უარს არ გახდება და სწავლებას ხალისით მიიღებს. ამას, თუ გინდ, თავი დავანებოთ. იმაზე უფრო სამწუხარო რაღა იქნება, რომ მართლ მადიდებელმა კაცმა არ იცოდეს, რომ ღმერთი ერთი არის და არა მრავალი, როგორც ერწმუნებიან სვანები. მღვდლებისაგან გავარჯიშებულ სვანს რომ ჰკითხო, თუ გინდ მოხუციც იყოს, რამდენი ღმერთი არისო, ის მოგიგებს — ღმერთი იმოდენი არისო, რამდენიც ეკკლესია დგასო. სირცხვილი არ არის, რომ ამდენ ხანს არიან მღვდლები სვანეთში და პირჯვრის წერა ვერ უსწავლებიათ ხალხისათვის. ას-ორას კაცში სამს თუ ეცოდინა, დიდი იქნება.

ლაზარე დადუანი.

---

გორი, 10 თებერვალს, 1874 წ.

„ნუ ამხილებ უგუნურსა, რათა არა მოგიძულოს შენ...“ ამ დარიგების ჩემ მიერ გადასვლა შესახებ გ—ს საზოგადოებისა იყო მიზეზი ჩემი აქამომდე სიჩუმისა; ხოლო, რადგანაც აწ ვარ მე არა მამხილებელი, არამედ მახარებელი ორიოდე ამბისა, ამისთვის ამოვიღებ ხმას და ვიტყვი: 8-ს ამ თვისას გორის „წრეში“ (кружокъ) წარმოადგინეს „ძუნწი“ გ. ერისთავისა და, საზოგადოთ, თვითეულმა აქტიორმა კარგათ შეასრულა თავისი როლი, მაგრამ უმეტესი ყურადღება საზოგადოებისა მიიქციეს ივანიკამ, მონავარდისამ და კარაპეტამ. უფრო კიდევ უმეტესი საყურადღებო იქნებოდა კარაპეტა, თუ იგი ყოფილიყო მართალი, როგორც შეეფერებოდა გ. ერისთვის კარაპეტას“. ამ წარმოდგენას საზოგადოებამ ახირებული თანაგრძნობა უჩვენა: მთელი ზალა სავსე იყო სკამებზედ მსხდომარეებით და რამდენიმე კიდე ფეხზედ იდგნენ იწროობისა გამო. ამბობენ, ოცდა ათ თუმანზედ მეტი მოგროვდაო და ამ მოგროვებული ფულის მიზანი დამშეული სამარელების შეწევნა არისო!!

30-ს იანვარს აქ გორის მაზრის სამღვდელოების კრება იყო შესახებ აწინდელ

შკოლის შენობის გაყიდვისა, სხვაგან ალაგის მოპოვებისა და აშენებისა, ახალი წესდების მოთხოვნილებისა მებრ. ამ კრების თავმჯდომარემ ჯერ კარგათ დაიწყო საქმე და ბოლო ღმერთმა იცის. კრებამ დასდო: გაიყიდოს აწინდელი შკოლის შენობა 6,000-ს მან. კარგი ალაგი მოვიპოვოთ სხვაგან და ოთხი წლის განმავლობაში ავაშენოთ ისეთი შენობა, როგორსაც მოითხოვს ახალი უსტავი. ამასთანავე კრებამ დასდო ყოველ წლივ შესწიროს ათი თუმანი შკოლის სამართველოს მწერლისთვის, ხუთი თუმანი შეშისთვის და მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს მოუმატა ჯამაგირი, რომელიც სულ შეადგენს 420 მანეთს წელიწადში. სწორეთა ესთქვა, გორის მაზრის სამღვდელოება არ აკლებს თავის მხრივ ზრუნვას, რამდენიც შეუძლიან, აქაურს სასულიერო შკოლას.

ქ. ზარაფოვი

---

დ. ყვირილა, 8 ფებრვ. 1874.

დაბა ყვირილაში ერთი უბედური შემთხვევა მოხდა. იმ კამანდის ყაზახებს, რომელნიც მთავრობის განკარგულებით გამოგზავნილი არიან შორაპნის უეზდში მშვიდობიანობის დასაწესებლად და რომელნიც საზოგადოების ხარჯით სცხოვრებენ, კაცი მოუკლავთ. ეს კაცი რკინის გზის სტანციის მოსამსახურე ყოფილა გვარად ივანოვი. როგორც ამბობენ, ჯერეთ სახლში მიხთომიან და ბოლოს თავის ბინაზე მიუთრევიათ და იმდენი უცემიათ, რომ მოუკლავსთ და მკვდარი მოუტანიათ და მისი სახლის აკოშკასთან დაუგდიათ. ვიზედაც ეჭვი აქვთ, ყველა დაჭერილია.

დ. მაჭახელაძე.

---

### ორიოდე სიტყვა

### „დროების“ 409 ნომრის ფელტონზედ

რასაკვირველია, ვინც კი იცის და არ იცის კითხვა და ცოტათი მაინც რამე გაეგება, ყველამ წაიკითხა და გაიგონა ამ ფელტონის ძალა.

დასტურ, უფ. მეველე კარგათ სჯის და ლანძღავს ცოლების მრტყმეველ ქმრებს! მაგრამ, როგორც გაზაფხულის სითბო გაალვიძებს და ფრთებს გააქნევინებს მელამურას—ღამურას, სწორეთ ისე ამ ფელტონმა გაალვიძა და თვალები გამოაჭყეტინა ჩვენ ცოლებს! ესენი ეხლა ასე სჯიან: „მეც თავისუფალი ვყოფილვარ: რაც უნდა ცუდი და საზარალო რამე ვქნა ჩემის ქმრისა და ოჯახისთვის, მოვახდინო შემარცხვენელი სვინიდისისა, პატიოსნებისა და ცოლ-ქმრობისა, და მავნებელი საზოგადოებისა, მაინც ჩემს ქმარს არ შეუძლიან მირტყასო, არა აქვს ნება საწყენი რამე მითხრასო და სხ. და სხ. მეც თავისუფალი ვარო“!

თქვენი მტერია, პატიოსანნო „დროების“ მკითხველნო, რომ ამ ფელტონმა ცოლები გადაგვირია! ეხლა, რადგან უფ. მეველემ აღძრა შფოთი და უბედურობა ჩვენ ცოლ-ქმრობაში, უმორჩილესად ვსთხოვთ ისევ იმან მოუღოს ბოლო ამ აღელვებულ საქმეს და ჩამოაგდოს ჩვენში მშვიდობა. და რომ ეს მოხდეს, დაწვრილებით დაგვიწეროს მოვალეობა ცოლ-ქმრობისა, შვილებისა და ოჯახობისა; დაგვიწეროს ცხადი კანონები: თუ რა მიეცეს სასჯელად, ან ქმარს და ან ცოლს, როდესაც რომელიმე მათგანი დაარღვევს თავის მოვალეობას. მაშინ, უსათუოდ, დიდი კმაყოფილები ვიქმნებით მისის „ფელტონით“ და მადლობასაც შევსწირავთ. თუ ამ ჩვენს თხოვნას უფ. მეველემ პატივი არ სცა, მაშინ იგი, უეჭველად, ჩვენ ცოლებისგან გაწვალებულ ქმრებისგან ცუდ რასმეს მოელოდეს.

რ. ახ—შვილი.

10-ს თებერვალი 1874 წ.

ს. ახ—შთი.

---

# რუსეთი

## საყოველთაო სამხედრო სამსახურის წესდება

ამ წლის დასაწყისში გამოვიდა ახალი წესდება საყოველთაო სამხედრო სამსახურზედ. ამ წესდებას იმდენი სივრცე აქვს, რომ ჩვენს გაზეთში, რომელიც კვირაში ერთხელ გამოდის, იმისი სრული თარგმანის დაბეჭდვა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ ჯერ ამ წესდების უმთავრესს საფუძვლებს და შემდეგ ნომრში მთელს იმის შინაარსს დაწვრილებით. აი ის უმთავრესი საფუძვლები, რომელნიც უმაღლესს მანიფესტში მოხსენებული არიან:

I) სამხედრო სამსახური მართებს ყველა მამა-კაცს, რომელიც იმპერიაში სახლობს. არავის არ აქვს ნება, რომ ამ სამსახურისაგან თავი დაიხსნას ან ფულით, ან თავის მაგიერის წარდგენით.

II) ეს ახალი წესდება არ გავრცელდება ყაზახ რუსებზედ და ზოგიერთს უცხო ტომის ხალხებზედ.

III) რა კი ოცი წლის შეიქნებიან ყველა მოსახლე მამა კაცს წილი ეყრება. ეს წილის-ყრა ერთჯერ სამუდამოთ გარდაწყვეტს, თუ ვის მართებს ნამდვილი სამხედრო სამსახური და ვინ განთავისუფლებულია იმისგან.

IV) ყველა, ვინც კი ამ წლის პირველს იანვარს ოცდა ერთს წელზედ უხნესი იყო, ორმოცი წლის ხნოვანებამდის ლაშქარში სამსახურისათვის გამოწვევას უნდა ელოდეს.

V) ნამდვილი სამსახურის ვადა თხუთმეტი წელიწადია; მაგრამ ექვსი წლის იქით, ან თუ შესაძლოა უფრო ადრეც მხედრობაში მოსამსახურე კაცები შინ დაითხოვებიან იმ პირობით, რომ, როცა მთავრობა მოითხოვს, ხელახლავ სასამსახუროდ უნდა გამოცხადდენ. ზღვაში მოსამსახურეთათვის განწესებულია ათი წლის ნამდვილი სამსახური. ისინი შინ დაითხოვებიან შვიდი წლის შემდეგ.

VI) სასწავლებლებში ნამყოფი ყმაწვილი კაცებისთვის დაწესებულია უფრო მოკლე ვადით სამსახური. რამდენადაც მათგან მიღებული სწავლის ხარისხი უმაღლესია, იმდენათ სამსახურის ვადა ნაკლებია.

VII) ყველა ქრისტიანებრივი სარწმუნოების სამღვდელონი სრულიად განთავისუფლებული არიან სამხედრო სამსახურისაგან.

ამ შემსუბუქებას გარდა, რომელიც თვითონ სამხედრო სამსახურის წესდებაშია განსაზღვრული, უმაღლესის სენატისადმი ბრძანებით დაწესებულია შემდეგი კერძო შემსუბუქება:

1) ვინც ტახტისა და კანონის ერთგულებისათვის თავი შესწირა უკანასკნელის აღრეულობის დროს პოლშასა და დასავლეთი-რუსეთის მხარეში, იმათ ოჯახიდგან სამი ოჯახის წევრი განთავისუფლებულია სამხედრო სამსახურისაგან, ჯერ მკვდრის შვილები და მერმე იმისი მკვიდრი შვილი შვილები.

2) განთავისუფლებული არიან სამხედრო სამსახურისაგან ისინი, ვინც ვარშავისა და ვენის, ვარშავისა და ბრომბერგის, ვარშავისა და ტერესპოლის და ლოდზის საქარხანო რკინის გზებზედ მსახურებდა და სალდათად გამოწვევისაგან განთავისუფლებული იყო.

3) პირველი ხუთი გამოწვევის დროს, ახალი სამხედრო სამსახურის წესდების შემოღებიდგან, ოთხის წლით ედროვება სამხედრო სამსახურში შესვლა იმათ, ვისაც ეს წილით ერგო, მაგრამ იმისთანა ოჯახებს ეკუთვნიან, რომელთაც საგილდიო ან სამრეწველო მოწმობის ძალით სავაჭრო, ქარხანა და სამრეწველო გაუმართავს, თუმცა ამ პირთ მუშაობის შემძლე მამაც ანუ პაპაც (ბაბუა) ჰყავდესთ და ძმებიც, მაგრამ თექვსმეტ წელზედ უყმაწვილესი. ხსენებულს სავაჭროებში არ უნდა ჩაითვალონ მაგარი სასმელების საწვრილმანო დუქნები. ნადროები ხანი არც ნამდვილი სამსახურისა და არც სამსახურისათვის მზად ყოფნის ვადიდგან არ გამოირიცხება.

4) განთავისუფლებულია აგრეთვე სამხედრო სამსახურისაგან სხვა და სხვა უცხო ტომის ხალხები და უცხო ქვეყნელები, რომელთაც რუსეთის ქვეშ-ევრდომობა მიუღიათ.

ახალი წესდების სისრულეში მოყვანა ამ გვარად არის ნაბრძანები:

1) ბრძანების მიღებიდგან დაწყებული სამი თვის განმავლობაში ყოველგან უნდა გათავდეს გუბერნიების გამოსაწვევ ნაწილებად (უჩასტკებად) დაყოფა.

2) იმ პირთ, რომელნიც ახალის წესდებით პირველად უნდა გამოიწვიონ, ე. ი. იმათ, ვისაც 1873 წლის განმავალობაში ოცი წელი შეუსრულდა, დანიშნული აქვთ ექვსი თვის ვადა წესდების გამოცემიდგან, რომლის განმავალობაში იმათ მთავრობასთან უნდა შეიტანონ განცხადება გამოსაწვევ ნაწილებში ჩაწერაზედ.

3) ლაშქარში სამსახურისათვის სამხედრო წესდებაში მოხსენებულთ გარდა უნდა გამოწვეულ იქმნენ, სანამ ორმოცი წლისა არშეიქმნებიან, ისინი, ვინც სამხედრო სამსახურში არ არის და პირველს იანვარს 1874 წ. ოცდა ერთ წელზედ უხნესი იყო; აგრეთვე ისინიც, ვინც ეხლა სამხედრო სამსახურში არის და ორმოცი წლის შესრულებამდის დაითხოვებიან.

4) 22 ნოემბრის 1873 წ. მანიფესტით გამოცხადებული რეკრუტების გამოწვევა 15 იანვრიდგან 15 ფებრვლამდის 1874 წ. იმ წესით უნდა მოხდეს, რომელიც აღწერილია იმ მანიფესტში. და რაც ამას იქით სარეკრუტო ნაწილებზედ (უჩასტკებზედ) სარეკრუტო ვალი ან დროზედ გამოუწვეველი რეკრუტები დარჩება ანგარიშისაგან ამოიშლებიან.

5) სარეკრუტო კვიტანციებზედ, რომელნიც ზემო მუხლში მოხსენებულს გამოწვევას შემდეგ დარჩებიან, დადგენილია შემდეგი წესი:

ა) ხსენებული კვიტანციები უნდა წარმოადგინონ, 1874 წლის პირველს ოკტომბერზედ არა გვიან, უეზდის, მაზრის და ქალაქის სამხედრო სამსახურის საქმეების პრისუდსტვიაში, სადაც ძველი კვიტანციების მაგიერ ახლებს მისცემენ, და ან ძველს კვიტანციაზედ დანიშნენ, რომ კვიტანცია წარდგენილი იყო.

ბ) თითოეული ხსენებულს პრისუდსტვიებში წარმოდგენილი კვიტანცია ჩაიწერება ერთი კაცის სახელზედ, კვიტანციის მექონის სურვილისამებრ, და ამის შემდეგ ეს კვიტანცია სხვას არავის უნდა გადაეცეს.

გ) კვიტანციები მიიღებიან მხოლოდ იმ კაცის სამსახურში საანგარიშოდ, ვის სახელზედაც ჩაწერილია ეს კვიტანცია, ან იმის მკვიდრის ან მარტო მამით და მარტო დედით ძმის და ბიძაშვილის სამსახურში.

დ) დანიშნულს ვადაზედ წარუდგენელს კვიტანციებს ძალა ეკარგებათ.

ე) კვიტანციის პატრონს შეუძლიან ის ხაზინაში წარადგინოს და ოთხას ოთხმოცდა ხუთი მანეთი მიიღოს.

ვ) კვიტანციების გამოსყიდვის რიგი და ვადები განწესებული იქნება ფინანსთ მინისტრისაგან შემდეგ, როდესაც ყველა კვიტანციის რიცხვი შეტყობილი იქნება.

(შემდეგი იქნება).

---

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

პარიჟი, 10 ფებრვალი 1874 წ.

როგორც იყო მაკ-მაჰონმა ხმა ამოიღო!

გასაკვირველია მართლა, რომ რამდენათაც წარსულ პრეზიდენტს—ტიერს—ლაპარაკი უყვარდა და შემთხვევას ეძებდა, სადმე რამე ეთქვა, იმდენათ ეხლანდელი პრეზიდენტი ჩუმი და უენოა და თითქო ცდილობს, რომ ხმის ამოსაღები მიზეზი არ ექნეს.

მაგრამ წასულ კვირაში კი, ძლივს გასაჭირით, ხმა ამოაღებინეს. ის იყო აქაურ სავაჭრო სასამართლოში (Tribunal de commerce), სადაც უმთავრესი წარმომადგენელნი პარიჟის ვაჭრობისა იყვნენ შეკრებილნი. სასამართლოს თავს-მჯდომარემ უთხრა იმას რამდენიმე სიტყვა ეხლანდელ ვაჭრობის დაცემაზე, წარმოების სისუსტეზე და განაცხადა იმედი, რომ იმის მტკიცე მმართებლობისაგან მოელიან ვაჭრობის გაცხოველებას. მაკ-მაჰონმა პასუხათ უთხრა იმას, თუ რა და რა საშუალებას იხმარს მმართებლობა ვაჭრობის აღსადგინებლად და დაუმატა შემდეგი სიტყვები:

„19 ნოემბერს ნაციონალურმა კრებამ მომანდომე უფლება შვიდი წლის ვადით. პირველი ჩემი მოვალეობა ის არის, რომ ყველას პატივი ვაცემინო ამ უმაღლეს გადაწყვეტილებისათვის. ნურაფრის გეშინიანთ. შვიდი წლის განმავალობაში მე დავიცავ ყველა კანონიერად დადგენილ წესს!“

×

ამ სიტყვამ მონარხიელები საშინლათ აალელვა. სწორეთ ახირებულია ამათი საქმე: როდესაც მაკ-მაჰონს არჩევდნენ პრეზიდენტად, ისინი ამბობდნენ, რომ ათი წლით მაინც უნდა ავირჩიოთო, რომ საფრანგეთმა ცოტა მაინც მოისვენოს ამ ხნის განმავალობაშიო; რესპუბლიკელები კი ცდილობდნენ, საფრანგეთის ბედი ამისთანა უხეირო კაცის ხელში ხუთი წლის მეტათ არ ჩავარდნილიყო. ბოლოს შვიდ წელიწადზე დათანხმდნენ. ეხლა კი, როდესაც მაკ-მაჰონმა გამოაცხადა, რომ ამ შვიდი წლის განმავალობაში საფრანგეთში მმართებლობა არ შეიცვლებაო, მე შევასრულებ ნაციონალურ კრების მონდობილებასაო, ესვე მონარხიელები გულზე სკდებიან, ჯავრდებიან და ამბობენ: „როგორ თუ შვიდ წელიწადს მმართებლობა არ შეიცვლებაო! მაშ შვიდი წლის განმავალობაში საფრანგეთში რესპუბლიკა უნდა იყოს! რას ამბობთ: ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შვიდი თვის შემდეგ საფრანგეთის ტახტზე ჩვენი შამბორი აბრძანდებაო!..

ერთი სიტყვით, როლები შეიცვალა: კონ-

სერვატორები რევოლიუციონერებად ხდებიან და რევოლიუციონერები კი ახლანდელი წესის დაცვას ცდილობენ.

×

ამ არეულობით ყველაზე უფრო ბონაპარტელები სარგებლობენ: იმათი აგენტები ჩუმ-ჩუმათ დაძვრებიან თურმე სოფლებში, მუქთად არიგებენ „პატარა მამადგვის" (ნაპოლეონ მესამის ვაჟის) და დიდა მისის სურათებს, სხვა და სხვა ბონაპარტულ ბროშურებს, ავრცელებენ ხალხში აზრს, რომ როგორც პატარა ნაპოლეონი სრულ-წლოვანი შეიქნება (ამ მარტში 19 წლის შეიქნება), ის წამსვე მობრძანდება ინგლისიდამ და საფრანგეთის ტახტზე შებრძანდება, თქვენ, გლეხებს და მუშებს, გაგაბედნიერებს, გადასახადს დაგიკლებს, ხიდებს და გზებს გაგიკეთებსთ და სხვა ამ გვარ ქორებს.

მაგრამ, ამ ჩუმ აგენტების გარდ, ბონაპარტის პარტიას ეხლა უფრო აშკარა და უფრო დიდი აგენტები ჰყავს:

ახალი მერების კანონის ძალით, თითქმის ყველა რესპუბლიკელი მერები გამოცვალეს, და მათ ადგილზე პრეფექტები, (რომელნიც აგრეთვე მომეტებული ნაწილი ბონაპარტელები არიან), და უმეტესი მმართებლობა თითქმის ყველგან ბონაპარტელებს მიანდვა.

×

ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა მიეწეროს, რასაკვირველია, ის ამბავი, რომ გუშინწინ პა-დე-კალეს დეპარტამენტში, სადაც ხალხის წარმომადგენელი უნდა ამოერჩიათ, ბონაპარტელი დეპუტატი ამოირჩიეს. მეორე დეპარტამენტში, სადაც აგრეთვე ამორჩევა იყო, რესპუბლიკელ დეპუტატმა გაიმარჯვა. შესანიშნავია, რომ თითქმის ყველა ქალაქებმა ზემოხსენებულ პა დე-კალეს დეპარტამენტში რესპუბლიკელი დეპუტატის მხარე დაიჭირეს, და ბონაპარტელს მხოლოდ სოფლებმა ჩაუგდეს თეთრი კენჭი. სოფლების მოტყუებაც და დაბრმავება უფრო ადვილია, ვინამ ქალაქების მცხოვრებლებისა, რომელნიც უკეთ იცნობენ როგორც ბონაპარტის დინასტიას, აგრეთვე თავის ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას. სოფლებმაც კი ბევრმა, რომელთაც ადრე მუდამ ბონაპარტელების მხარე ეჭირათ, ეხლა რესპუბლიკელ დეპუტატს თეთრი კენჭი ჩაუგდეს. ერთი სიტყვით, სოფლებშიაც თან და თან ვრცელდება აზრი, რომ საფრანგეთს ეხლა მხოლოთ რესპუბლიკა დაიხსნის, რადგან ამ მმართებლობის ხელში უფრო შესაძლებელია სამართლიანობა, თავისუფლება და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა. ქალაქების მცხოვრებლებზე ხომ ლაპარაკიც არაა საჭირო. მაგრამ ბონაპარტელები ისეთ ძალას პოულობენ თვით მთავრობაში და ადმინისტრაციაში, ისეთ ნაირათ მოქმედებენ, რომ შესაძლებელია, იმათგან კიდევ რამე უბედურება შეემთხვეს საფრანგეთს....

×

ჩემი სახლის პატრონი, რომელიც თავიდამ კოჭებამდი და კოჭებიდამ თავამდი აღტაცებული ბონაპარტელია, ამ უკანასკნელ ამორჩევით აღტაცებულია. ის მარწმუნებს, რომ ამ ორი თვის განმავალობაში „პატარა მამადგვი" პარიჟში შემობრძანდებაო.

—ნეტავი თქვენ! მეტი რაღა გინდათ!

—დიახ,ლო, მიპასუხა: წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: სანამ ნაპოლეონი გვყავდა, ერთი ოთახი არ მქონია დაუქირავებელი, ყველა გაქირავებული იყო; და რა რომ ეს რესპუბლიკა გაწყდა, მასქეთ ნახევარი ქვარტირა ცარიელია.

—საწყალი შამბორის მზარეული, როგორ ნატრულობს თურმე თავის ბატონის გამეფებას, წარმოიდგინეთ იმის მდგომარეობა: ეხლა, როგორც ამბობენ, ხუთი ათასი ფრანკის მეტი არა აქვს შემოსავალი და შამბორი რომ გამეფდეს, მაშინ უკანასკნელი ოცი ათასი მაინც ექნება!

×

ეს კვირა სწორედ დიდი პროცესსების კვირაა: ამას წინათ გაასამართლეს ერთი სომეხი ოსტანიკ-მარკარიანცი, რომელსაც, როგორც პროცესსიდამ ამოჩნდა, დახლოებითი კავშირი ჰქონია ხიდარ-ფაშასთან (ინგლისში ოსმალის ელჩიამ), ზოგიერთ ნაპოლეონის მინისტრებთან და ჟურნალისტებთანაც. ამ ძლიერ ნიჭიერ ახალგაზდა სომეხს ისეთ ნაირათ ეჭირა თურმე თავი, რომ ყველას ეგონა, რომ ის ძალიან შეძლებული კაცი იყო და დღეს თუ ხვალ იმის გამინისტრებას მოელოდნენ ოსმალეთში. იმის დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ თვალმარგალიტის მაღაზიაში ნისიათ იღებდა ალმასებს და აგირავებდა. ამნაირათ ერთ მილიონამდი ვალი დაედვა. ბოლოს ეს ოინი შეუტყვეს, დაიჭირეს, გაასამართლეს და ოსმალეთის მინისტრის მაგივრათ, საპყრობილის ტუსაღათ გახადეს ხუთი წლის ვადით.

ამას გარდა ერთი პროცესსი იყო დუელის თაობაზე, რომელიც რუმინიის ორ თავადთ შუა მოხდა აქ ფონტენბლოს ტყეში: ამ დუელში ერთი მოკვდა და მეორე აგრეთვე ხუთი წლით ვირების აბანოში ჩააწყვდიეს.

×

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი პროცესსი ჯერ კიდევ არ გათავებულა: ერთი ვიღაც ჰოლანდიელი აფიცარი გამოჩნდა, რომელიც ამტკიცებს, რომ ნამდვილი შთამამავალი დიდი რევოლიუციის დროს მოკლულის საფრანგეთის მეფის, ლუი მეთექვსმეტესი, გრაფი შამბორი კი არაა, მე ვარო, და მაშასადამე ყველა ის უფლებები და მემკვიდრეობა, რომელიც შამბორს დაუსაკუთრებია, მე მეკუთვნისო.

ისტორიიდამ ვიცით, რომ, როდესაც ვერსალიდამ გაპარული ლუი XVI დაიჭირეს, პარიჟში მოიყვანეს, ტამპლში დააწყვდიეს და მერე გილიოტინით მოსჭრეს თავი. იმას დარჩა ვაჟი, რომელიც, როგორც ამბობენ, საპყრობილეში მოკვდაო. მაგრამ, როგორც ეხლა ამოჩნდა, იმის მაგიერათ ვიღაც სხვა ყმაწვილი ჩაუწყვდევიათ საპყრობილეში და ის კი ჩუმათ გაუპარებიათ გერმანიაში. აი, ამ გაქცეული ლუი მეჩვიდმეტის შვილობას ჩემულობს ეს ჰოლანდიელი აფიცარი და, როგორც ამბობენ, ნამდვილი საბუთებიც აქვსო და ძალიანაც ჩამოგავს ბურბონებსაო. იმის ადვოკატი ჟულ-ფავრია.

ესეც ახალი პრედენდენტი შეეძინა საფრანგეთის ტახტს. ამბობენ კია, რომ ის რესპუბლიკელი არისო. მაგრამ ყველა პრედენდენტი, სანამ უფლებას ჩაიგდებს ხელში, განა რესპუბლიკელი არ არის..

ს. მესხი.

---

# ამბოგენ

ერთი პატარა ბიჭი ვირზე შემჯდარი მოდიოდა თურმე. ორი დიდი თავადები შეჰხვდენ ამ ბიჭსა და ჰკითხეს: ულაყია თუ ჭაკი ბიჭო, ეგ ვირიო? მოგზაურმა ხმა არ გასცა მაშინ; მაგრამ გაეიდა თუ არა წყალზედ, რომელიც იქვე ჩადიოდა, დაუძახა თავადებს: „რას მიბრძანებდით, შეი ჭიიმეო?

— აი იმასა, ულაყია თუ ჭაკი ეგ შენი ვირიო.

— ჭაკი გახლავს, შეი ჭიიმე.

— მაშ წელან რათ არ გვიპასუხე, რადა წყალს გაღმა გასვლა დაგჭირდა?

—თქვენი შემეშინდა ბატონებო, გადმოუძახა კნიაზებს ღიმილით, პატარა გესლიანმა.

---

ორი მოწამეა მოსამართლის წინ მოსამ:— ქარი იყო ამა და ამ დღეს თუ არა? პირველი: რავიცი ბატონო! მე რომ გამოვედი ვიცქირე ბევრი, მაგრამ არსად კი არა დამინახავს. მერმე მოსამართლე მეორესა ჰკითხავს ამავეს: ჰიმე! რავა არ იყო, ბატონო! ასეთი ზიზინ-ზიზინი გაჰქონდა, სულ ცადა მიწას აქცევდა.

---

ამას წინათ ერთი საპატიო კაცი ქუთაისის სტანციაზედ გაულახავთ. მაშინ არაფერი, და სურამა რომ მოვიდა თურმე ძალიან გული მოსვლოდა.

დასწყევლოს ღმერთმა ამნაირი გულის სიფიცხე!

---

# განცხადება

ბერენშტამის და მართანოვის წიგნების მაგაზინში და ივანოვის ბიბლიოთეკაში, თფილისს, და ლორთქიფანიძისაში, ქუთაისს, ისყიდება რუსული წიგნი:

**ქუთაისის მაზრის სამსაჯულო.**

პროცესსი **ნ. ი. ნიკოლაძისა**, რომელსაც მაზრის სამსაჯულოს შეურაცხყოფას აბრალებენ.

**ფასი ორი შაური.**

ქალაქს გარეთლებს შეუძლიანთ ორი ორშაურიანი ფოჩტის მარკა გამოაგზავნონ ამ წიგნის ფასად.

---

ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება
**ქართულ-ფრანცუზული ლექსიკონი,**
შედგენილი ივ. როტინიანცისაგან.
**ფასი ერთი აბაზი**

---

„დროება". 1874, № 412

# ცნობათ-ფურცელი

თფილისი, 22 ფებერვალს 1874 წ.

## რკინის გზა

| ა) თფილისიდამ | დილა | საღამო |
|---|---|---|
| თფილისი | $8._{8}$ | $8._{17}$ |
| მცხეთა | $9._{8}$ | 10.— |
| გორი | $11._{39}$ | $1._{43}$ |
| სურამი | $1._{52}$ | $4._{30}$ |
| ყვირილა | $6._{49}$ | |
| ქუთაისი | $7._{55}$ | |
| სამტრედია | $9._{02}$ | |
| ახალ-სენაკი | $10._{02}$ | |
| ფოთი | $11._{27}$ | |

| ბ) თფილისისკენ | დილა | დილა |
|---|---|---|
| ფოთი | $7._{38}$ | |
| ახალ-სენაკი | $9._{11}$ | |
| სამტრედია | $10._{2}$ | |
| ქუთაისი | $11._{7}$ | |
| ყვირილა | $12._{38}$ | |
| სურამი | $4._{57}$ | $7._{15}$ |
| გორი | $7._{23}$ | $10._{12}$ |
| მცხეთა | $9._{52}$ | $1._{49}$ |
| თფილისი | $10._{49}$ | $3._{13}$ |

| გ) ფასი თფილისიდამ | I კლ. | II კ. | III კ. |
|---|---|---|---|
| მცხეთამდი | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| გორამდი | $3._{20}$ | $2._{40}$ | $1._{33}$ |
| სურამიდამ | $5_{22}$ | $3._{92}$ | $2._{18}$ |
| ქუთაისამდი | 9.— | $6._{75}$ | $3._{75}$ |
| ფოთამდი | $13._{1}$ | $9._{75}$ | $5._{42}$ |

## ცეცხლის გემები

ა) შავ-ზღვაზე

ფოთიდამ გემი მიდის:
ოდესისკენ — ხუთშაფ. შუადღეზე.
სტამბოლს — კვირაობით შუადღეზე.
სოხუმიდამ:
ფოთს — სამშაფათს, ღამე.
ოდესას — პარასკევს, შუადღეზე.

ბ) კასპიის ზღვაზე:

ბაქოდამ გემი მიდის:
ასტრახნისკენ —
ასტრაბადისკენ —

## ტელეგრაფი

ოცი სიტყვის გაგზავნა ტელეგრაფით ღირს თფილისიდამ:

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს. | — | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს. | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 3 | — |
| ვენას, ასტრიაში | 2 | 75 |
| გერმანიაში | 2 | 63 |
| იტალიაში | 3 | 50 |
| საფრანგეთში | 3 | 38 |
| შვეიც-რიაში, ოსმალეთში. | 3 | — |
| ინგლისში | 4 | — |
| საბერძნეთში | 3 | 25 |
| სპარსეთში | 5 | 76 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ:
რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდა
ქუთაისს: ყოველ. დღე კვირას გარდა.
კახეთს, ზუგდიდს: პარასკ. ოზურგეთს: ორშ., პარ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ. ალექსანდრეპოლს: ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდი)

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისს და რუსეთს: ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს: ორშაფ., ხუთშაფ. და შაბათს. ოზურგეთს, ზუგდიდს და ახალ-სენაკს: ორშაფათობით საღამომდე.)

გ) გორიდამ.
ყოველგან: ორშაფ ოთხშაფ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე)

დ) ფოთიდამ:
ყოველგან: ყოველდღე.

წიგნის გაგზავნა ღირს:

| | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის რუსეთში | 5 |
| დაბეჭდილი წიგნის რუსეთში | 10 |
| საფრანგეთში | 25 |
| გერმანიაში | 10 |
| ინგლისში | 20 |

## ბირჟა

| პეტერბურგი, 6 ფებერ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | — |
| მოგებიანი (პირველი სესხის) | 166 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხისა) | 165 | 50 |
| **კ უ რ ს ი** — ერთ მანეთში იძლევიან. | | |
| ლონდონში | $32\frac{3}{4}$ | პენ |
| პარიჟში | 347 | სან |
| ვენაში | — | — |
| ესკონტი (სარგებლის ფასი) | $7\frac{3}{4}$ | — |
| გირაოს ფურცლები: | — | — |
| ხერსონის ბანკისა ($5\frac{1}{2}$) | 85 | — |
| ხარკოვის (6%) | 83 | — |
| მოსკოვის (5%) | 88 | — |
| **ა ქ ც ი ე ბ ი:** | | |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 569 | — |
| კავკაზის და მერკურის | 186 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 128 | — |
| თფილისის სავაჭრო ბანკის | — | — |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 265 | — |
| „სალამანდრასი" | 340 | — |
| კამპანიის Двигатель. | 100 | — |
| პირვ. უზრუნველ-მყოფი (страх. общ.) საზოგ | 662 | — |
| მეორე უზრუნ. მყოფი საზ. | 193 | — |
| პეტერბ. უზრუნვ. მყოფი | 286 | — |
| მოსკოვის უზრუნვ. მყოფი | 287 | — |

## თფილისის მაზანდა

| 20 ფებრუალს, 1874 წ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური ერევნის | 1 | 10 |
| — ბანჯის | 1 | — |
| — შორაგლის | 1 | — |
| ქერი. | — | 60 |
| ბამბა ერევნის | 4 | 20 |
| — ამერიკისა | 5 | 70 |
| გაპენტილი ბამბა | 8 | — |
| მატყლი თუშური | 6 | — |
| — თარაქმული | 4 | — |
| აბრეშუმი | 7 | — |
| ქონი | 4 | — |
| ქონის სანთელი | 6 | — |
| სტეარინის სანთელი | 11 | — |
| ხორცი ძროხის | — | 80 |
| — ცხვრის | — | 90 |
| სპირტი | 7 | — |
| შაქარი კარგი | 7 | 80 |
| — მდარე | 7 | 75 |
| — ფხვნილი | 6 | — |
| ყავა გრგვალი | 20 | — |
| — საშუალი | 18 | 50 |
| — მდარე | 16 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთის | 7 | — |
| — მწარე | 4 | — |
| ოქრო ნახევარი იმპერიალი. | 6 | 5 |

## სახაზინო განცხადებები

— მთავრობის ნება-რთვით თფილისის ტამოჟნა პირველ ფებერვალს გადაიტანეს ახალს შენობაში რკინის გზის სტანციის მახლობლად

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Февраля 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.